პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 29 იანვარი, 1943 წ. № 23 (6648). ფასი 20 კაპ.

წინ, გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად!

მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი, ყველა საბჭოთა მეომარი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა უმაღლესი მთავარსარდლის — ი. ბ. სტალინის მიერ სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, დონის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, კალინინის, ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარებისადმი გაცემულ ბრძანებას წითელი არმიის ორი თვის შეტევითი ბრძოლების შედეგების შესახებ. გუშინ საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ ახალი სასიხარულო ამბავი გვაუწყა: ჩვენმა ჯარებმა ძირითადად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია.

სტალინის ბრძანებამ, სამამულო ომის ფრონტებიდან მიღებულმა სასიხარულო ცნობებმა უდიდესი სიხარულისა და წითელი არმიის სახელოვანი მეომრებით სიამაყის გრძნობით აღავსო საბჭოთა ადამიანების გული. დიდება წითელ არმიას, დიდება მის ბელადს, მის სარდლებს!

1943 წლის 26 იანვარი ის თარიღია, რომელიც დაუვიწყარი დარჩება საუკუნეთა მანძილზე. გაიელის წლები, ხალხები ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს მოიშუშებენ, წამოიზრდება საბჭოთა ადამიანების ახალი თაობა, მაგრამ არასოდეს არ იქნება დავიწყებული, არასოდეს არ წაიშლება შეხსიერებაში ის დღე, როცა გამოქვეყნებულ იქნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის — დიდი სტალინის ისტორიული ბრძანება.

ამხანაგმა სტალინმა თავის ბრძანებაში მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მიულოცა გამარჯვება, რომელიც მათ მოიპოვეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებსა და მათს მოკავშირეებზე — რუმინელებსა, იტალიელებსა და უნგრელებზე სტალინგრადთან, დონზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, ვორონეჟთან, ველიკიე ლუკის რაიონში, ლადოგის ტბის სამხრეთით.

ამხანაგ სტალინის ბრძანებაში საბჭოთა ხალხმა წაიკითხა: „ორი თვის შეტევითი ბრძოლების შედეგად წითელმა არმიამ გაარღვია ფართო ფრონტზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების თავდაცვა, დაამარცხა მოწინააღმდეგის 102 დივიზია, ხელთ იგდო 200.000-ზე მეტი ტყვე, 13.000 ქვემეხი და ბევრი სხვა ტექნიკა და წინ წაიწია 400 კილომეტრამდე. ჩვენმა ჯარებმა სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს. ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება“.

უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა სტალინმა მადლობა გამოუცხადა სარდლობას და სახელოვან ჯარებს, რომლებმაც ჰიტლერის არმიები გაანადგურეს სტალინგრადის მისადგომებზე, რომლებმაც ლენინგრადის ბლოკადა გაარღვიეს და მრავალი ქალაქი და ათასობით დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს გერმანელ ოკუპანტთაგან. სტალინის მადლობა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, პარტიზანებსა და პარტიზან ქალებს, მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას აღფრთოვანებს იმისათვის, რომ ბრძოლაში ახალ-ახალი გმირობა ჩაიდინონ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, ახალი გმირული საქმეები ჩაიდინონ როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.

საყვარელი სტალინის ბრძანებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა წითელი არმიის მეომრებში, მთელს საბჭოთა ხალხში.

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ ქვეგანაყოფში გამართულ მიტინგზე ყაზახმა მებრძოლმა ბირკიტოვმა გამოსვლისას:

„ჩვენ, სხვადასხვა ეროვნებათა მებრძოლნი, — რუსები, ყაზახები, თათრები, ქართველები, — ერთსულოვნად ვიბრძვით ლენინგრადისათვის, ისევე როგორც ვიბრძოლებდით ჩვენი მშობლიური კერისათვის. სწორედ ამიტომ არის, რომ ვამარცხებთ მტერს. ამხანაგ სტალინის ბრძანება ჩვენი ძალების კიდევ უფრო მეტს რწმენას გვინერგავს. სტალინმა გვითხრა: წინ, გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათს განსადევნად. როგორც სტალინმა სთქვა, სწორედ ისე იქნება!“.

თითქოს მას გამოეხმაურაო, მებრძოლმა დოლმატოვმა კალინინის ფრონტის ნ ნაწილის მიტინგზე შემდეგი გულისამაღელვებელი სიტყვები წარმოსთქვა:

„ბრძანება ახალი საგმირო საქმეებისათვის აღგვაფრთოვანებს. ჩვენ მზად ვართ ახალი შეტევისათვის. ჩვენ გზა დასავლეთისაკენ გვიდევს, და წითელი არმია ამ გზას ღირსეულად გაიელის სახელოვანი საბრძოლო დროშებით, ჩვენი დიდი მხედართმთავრის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“.

ზურგი ფრონტს არ ჩამორჩება. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდის ცნობები, რომ ახალ საწარმოო ვალდებულებებს კისრულობენ საბჭოთა პატრიოტები, რომელნიც მზად არიან მთელი თავიანთი ძალონი, მთელი თავიანთი უნარი მოახმარონ იმას, რომ მოაახლოონ გერმანელ დამპყრობთა საბოლოო განადგურების ჟამი.

უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება საბჭოთა სამშობლოს ბრძანებაა. მთელი ჩვენი ხალხი, საყვარელ ბელადთან ერთად, აღსავსეა უღრმესი მადლობის გრძნობით საბჭოთა მეომრებისადმი, რომელთაც გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს საზიზღარ მტერთან ბრძოლის ველებზე. სტალინის ბრძანებაში ასახულია საბჭოთა ხალხის უდიდესი ძლიერებაც, საბჭოთა წყობილების ურყევი სიმტკიცეც, წითელი არმიის გაზრდილი სიმძლავრეც, ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაც — ვიბრძოლოთ გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებსა და მათს თანამონაწილეებზე სრულ გამარჯვებამდე.

წითელი არმიის XXIV წლისთავზე ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „ახლა ომის ბედს გადასწყვეტს არა ისეთი მეორეხარისხოვანი მომენტი, როგორიც არის უეცრობის მომენტი, არამედ მუდმივ მოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი“.

მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები დაიწერა, თითქმის ერთმა წელმა განვლო. გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ წარმოებული ომის გამოცდილებამ საკავშირო დაადასტურა სტალინის დებულებათა უდიდესი სიბრძნე. მუდმივ მოქმედი ფაქტორებით, რომლებიც სწყვეტენ ომის ბედს, საბჭოთა კავშირი, ჩვენი წითელი არმია ფაშისტურ გერმანიას სჯობნის, ჰიტლერის აყაჩაღურ არმიას სჯობნის. ეს არის წითელი არმიის გამარჯვებათა წყარო, ეს არის გერმანელ ფაშისტთა ჯარების სერიოზულ დამარცხებათა მიზეზი.

ომის მთელი სიმძიმის მიუხედავად, ჩვენი ზურგი ისე მტკიცეა, როგორც არასოდეს არა ყოფილა, როგორც არც ერთ სხვა მეომარ ქვეყანაში არ არის, მოწინააღმდეგის ზურგს კი დღითიდღე ძირს უთხრის ომის შეგნება, რომ ომი უპერსპექტივოა გერმანიისათვის. მაღალი და ურყევია მორალური სულისკვეთება წითელი არმიისა, რომელსაც მტერთან ბრძოლაში განმათავისუფლებელი ომის წმიდა ამოცანები აღაფრთოვანებენ. მთელი საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი თავისი მძლავრი მხარ-ბეჭით უმაგრებენ ზურგს წითელ არმიას, ეხმარებიან მას—გაანადგუროს გერმანელი ოკუპანტები.

გასული წლის მანძილზე წითელი არმიის მამაცმა ჯარებმა ბევრი რამ ისწავლეს. მათ კიდევ უფრო ახლოს გაიცნეს მტერი, შეიცნეს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოიწრთვნენ ცეცხლში და იწყეს გერმანელთა დივიზიების შემუსვრა და ულმობლად შემუსვრა. ბევრი ათეული შენაერთი გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ სამშობლოსათვის წარმოებულ ბრძოლებში გულადობის გამოჩენისათვის, სიმტკიცისა, მამაცობისა, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის გარდაქმნილია გვარდიის შენაერთებად. მათს საბრძოლო რიგებს მაღლა დაფრიალებს გვარდიის დროშები—საბჭოთა იარაღის დიდების სიმბოლო.

ომის გამოცდილებით ბრწყინვალედ არის დამტკიცებული წითელი არმიის საჭურველის უპირატესობა მტრის საჭურველთან შედარებით. საბჭოთა მეომრები განუზომლად გამდიდრდნენ სამხედრო გამოცდილებით. სავსებით გაიშალა მეთაურთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი. გაიზარდნენ, დავაქაცდნენ ოფიცერთა კადრები — წითელი არმიის ოქროს ფონდი. ჩვენი არმია კიდევ უფრო ორგანიზებული გახდა, ომის მსვლელობაში იგი ხელახლა შეიარაღდა უახლესი ტექნიკით და ბელადისა და წითელი არმიის მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინის მიერ შემუშავებული თანამედროვე საამხედრო მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ებრძვის მტერს. ახლა უკვე არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ გერმანელთა სასაცილო და სულელური პრეტენზია მონოპოლიაზე საამხედრო ხელოვნების დარგში მეტი არაფერია, თუ არა გაბერილი მითი. წითელი არმიის დარტყმების შედეგად ეს მითი კვამლივით იფანტება.

მთელი მსოფლიო აღტაცებულია საბჭოთა მეომრების, წითელი არმიის ოფიცერთა კადრების სამხედრო ოსტატობით. ეს ოსტატობა შემოწმებულია საქმით, უსასტიკესი ბრძოლების ცეცხლში. საბჭოთა სამხედრო ხელოვნებას, ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენი დიდი ქვეყნის შესაფერის დონეზე აყვანილს, უკვე მოაქვს თავისი ნაყოფი. მტერმა თავის ტყავზე გამოსცადა საბჭოთა სარდლობის სტრატეგიული გეგმების სიღრმე და გაქანება, გამბედაობა, სიმტკიცე და მეომრული უნარი მათი განხორციელებისას.

საბჭოთა ხალხი დღითიდღე სიხარულით და მღელვარებით გებულობს ჩვენი მეომრების ახალ წარმატებათა ამბავს, ჰიტლერელთა ბანდებისაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლების ამბავს. და ყოველი საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში ცოცხლდება ამხანაგ სტალინის წინასწარმეტყველური სიტყვები—ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული! ეს დღესასწაული დგება! ზედიზედ ვურტყამთ საზიზღარ მტერს და მას უკვე არ ძალუძს დამალოს არც ადამიანთა უდიდესი ზარალი, არც თავისი ტექნიკის ზარალი, არც თავისი ავანტიურისტული სტრატეგიული გეგმების ჩაშლა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

და თუმცა ჩვენ ვიცით, რომ მტერი ჯერ კიდევ არ არის განადგურებული, რომ მას, სასოწარკვეთილებით მოცულს, შეუძლია ახალ ავანტიურებში გადაეშვას, საბჭოთა ხალხი რწმენით იყურება წინ, მან იცის, რომ ახლოვდება გარდუვალი და მრისხანე ჟამი ჰიტლერელი დამპყრობლებისათვის სამაგიეროს მიზღვისა ყველა მათი ბოროტმოქმედებისათვის. ეს ჟამი ახლოსაა.

დიდი სამამულო ომის მატიანეებში, კაცობრიობის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება სტალინგრადის გმირული ეპოპეის უჭკნობი ხსოვნა. ჩვენმა ჯარებმა, საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულის კეთილშობილური გრძნობით, სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობით აღგზნებულებმა, ძირითადად განახორციელეს წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის გენიალური გეგმა სტალინგრადის რაიონში გერმანელ ფაშისტთა რჩეული ჯარების დიდი დაჯგუფების გარშემორტყმისა და ლიკვიდაციისა. საბჭოთა არტილერიის თავისი ძალით ჯერ კიდევ უმაგალითო დარტყმების შედეგად დაიმსხვრა მტრის თავდაცვის ძლიერ გამაგრებული კვანძები, გაცამტვერდა ათასობით მისი ბუნდაკები და ძელმიწური საცეცხლე წერტილები! ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 28 ათასი და მოსპეს 40 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია კოლოსალური დავლა. — 523 თვითმფრინავი, 1.297 ტანკი, 2.978 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 4.870 ტყვიამფრქვევი, 49.000 ავტომანქანა და დიდძალი სხვა სამხედრო ტექნიკა.

„ომების ისტორიას, — ნათქვამია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში,—არ ახსოვს თანამედროვე სამხედრო ტექნიკით უაღრესად აღჭურვილი რეგულარული ჯარების ესოდენ დიდი რაოდენობის გარშემორტყმისა და მოსპობის მსგავსი მაგალითები“. საბჭოთა ხალხმა იცის, რომ სტალინგრადთან გერმანელთა განადგურების გეგმა—ეს არის წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის სტალინური გეგმა.

გრანდიოზული ბრძოლა ქალაქისათვის, რომელიც დიდებით არის მოსილი და ძვირფასია ყოველი საბჭოთა ადამიანის გულისათვის, დასასრულს უახლოვდება.

„მსოფლიოს წინაშე აკაშკაშდა — ბრძოლებში, ჭექა-ქუხილში, ცეცხლში—

ჩვენი სტრატეგიული ძლევამოსილი გენია!“.

მთელი საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებულია დიდი და მშობლიური სტალინის მოწოდებით: წინ, გერმანელი ოკუპანტების გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათ განსადევნად!

ლენინ-სტალინის დროშით, ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი სრულ გამარჯვებას მოიპოვებს მტერზე და გასწმენდს მშობლიურ მიწა-წყალს ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან!

„პრავდის“ მოწინავე, 28/I.

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი კასტორნოე

28 იანვარს ჩვენმა ჯარებმა, გადამწყვეტი იერიშის შემდეგ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი კასტორნოე. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 იანვრის საღამოს ცნობა

28 იანვარს ჩვენმა ჯარებმა გადამწყვეტი იერიშის შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი კასტორნოე.

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის კვანძი კურგანნაია, რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური ნოვო-პოკროვსკაია, რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური გულკევიჩი, რაიონული ცენტრები—კალინიბოლოტსკაია, ილინსკაია, დიდი დასახლებული პუნქტები—პეტროპავლოვსკაია, მიხაილოვსკაია და რკინიგზის სადგური ოტრადო-კუბანსკოე.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასროლეს მოწინააღმდეგის 8.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

* * *

27 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 5 ტანკი, 200-მდე ავტომანქანა ჯარებისადმი და ტვირთიანად, ჩაბახეს 5 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, დაამტვრიეს რკინიგზის ეშელონი და 4 ორთქლმავალი, გაჩაფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

დონის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ჰიტლერელთა დაქსაქსული ჯგუფების ალყიტას. ერთ უბანზე მოსპობილია მოწინააღმდეგის ბატალიონი ქვეითი ჯარი. ტყვედ წამოყვანილია 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სტალინგრადის ჩრდილოეთით, სამი ტყვე გერმანელი, უკან, თავის ნაწილში გაბეზეული, მალე დაბრუნდა, მათ თან მოყვანეს კიდევ 70 ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებმაც გადასწყვიტეს იარაღი დაეყარათ. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ხელთ იგდეს 97 ტყვიამფრქვევი, ასზე მეტი ავტომანქანა, 12 ორთქლმავალი და სხვა დავლა.

* * *

სამხრეთის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, ხოლო ძალების ნაწილით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის კონტრიერიშებს. ერთ უბანზე გერმანელებმა დასახლებული პუნქტები თავდაცვის მძლავრ კვანძებად გადააქციეს და ცდილობენ შეაჩერონ საბჭოთა ჯარების წინსვლა. ჩვენი ნაწილები ამსხვრევენ მტრის წინააღმდეგობას, სპობენ გერმანელთა მრავალრიცხოვან სიმაგრეებს და დიდ ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალის მხრივ.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები აწარმოებენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით. 5 საარტილერიო ქვეგანაყოფმა, ხელს უწყობდა რა ქვეითი ნაწილების მოქმედებას, ჩაახშო მოწინააღმდეგის ორი საარტილერიო ბატარეის ცეცხლი და მოსპო 6 ტანკი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილმა დაიკავა დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდო 2 ქვემეხი, 1 ჯავშნიანი მანქანა, 17 ტყვიამფრქვევი, ერთი საწყობი საწვავიანად და სხვა დავლა. ტყვედ ჩაიგდეთ 46 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ვორონეჟის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს. 5 სატანკო ნაწილმა გასტეხა მტრის ჯარების გარშემორტყმული ჯგუფის წინააღმდეგობა. დახოცილია მტრის 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და ტყვედ წამოყვანილია 730. ჩვენმა მსროლელებმა ნაწილებმა წინ წაიწიეს, ჰიტლერელებისგან გათავისუფლეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მოსპეს გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ 6 ქვემეხი, 7 ჯავშანტრანსპორტიორი, 2 ექვსლულიანი ნარმატყორცნი, 1 ნივთსაწყობი და 1 სასურსათო საწყობი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს მრავალი დიდი დასახლებული პუნქტი. დღის განმავლობაში 5 ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 200 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანეს და დასწვეს 9 ტანკი და 17 ავტომანქანა. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის მოტორიზებული ბატალიონი. გვარდიელმა კავალერისტებმა შეაღწიეს მოწინააღმდეგის ზურგში და მძიფრად მიიტანეს იერიში გერმანელთა ქვეითს ჯარზე, რომელიც გზატკეცილით უკან იხევდა. დახოცილია 300-ზე მეტი ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დავლა.

* * *

ხრუშჩოვის სახელობის პარტიზანული რაზმი, რომელიც უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, უეცრად დაესხა თავს რკინიგზის დიდ სადგურს. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს მცველი რაზმი, ააფეთქეს სადგურში მდგომი ორთქლმავალი და დრეზინი. პარტიზანული რაზმი „ზა როდინუ“ თავს დაესხა რკინიგზის სხვა სადგურს, დაანგრია სადგურის მეურნეობა და ხელთ იგდო მრავალი შაშხანა, ვაზნა და გრანატი.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ საშინელი მზეცობის შესახებ, რომელიც ჩაიდინეს გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ვორონეჟის ოლქის სოფელ ვტორაია ბუგაევკაში: „გერმანელები აბუჩად იგდებდნენ და დასცინოდნენ სოფლის მცხოვრებთ. ისინი გვაიძულებდნენ წელში გაუმართავად გვემუშავნა გზების რემონტსა და გაწმენდაზე. ზაფხულის დამლევს სოფლის მახლობლად იპოვნეს მოალული გერმანელი ოფიცრის გვამი. ჰიტლერელმა ბანდიტებმა შეიპყრეს ოცი მშვიდობიანი მცხოვრები, რომლებიც პირველად მოხვდნენ თვალში, და ბეღელში დაამწყვდიეს ისინი. დაპატიმრებულნი დიდხანს სტანჯეს და აწამეს. ჯალათებმა დახვრიტეს 16 კაცი, დანარჩენი ოთხი კოლმეურნე კი ჩამოახრჩეს მთელი მოსახლეობის თვალწინ. უკანდახევისას გერმანელებმა დასწვეს 35 სახლი, სოფლის საბჭოს შენობა, 2 სკოლა, ქოხსამკითხველო, კოლმეურნეობის თავლები და სხვა ნაგებობანი. ფაშისტი მტაცებლები გრანატებს ესროდნენ სარდაფებსა და ხვრელებს, სადაც თავი ჰქონდათ შეფარებული ბავშვებიან ქალებს“. აქტს ხელს აწერენ კოლმეურნე ქალები: გაბოევა, ბუგაევა და სხვები.

უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებამ უდიდესი აპგრიოზული აღმავლობა გამოიწვია

კიდევ უფრო გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშამოსამსახურეებმა ჯერ კიდევ რადიოთი მოისმინეს უმაღლესი მთავარსარდლის—ამხანაგ სტალინის 25 იანვრის ბრძანება. მათ აგრეთვე რადიოთი მოისმინეს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა წითელი არმიის მიერ სტალინგრადის რაიონში მოპოვებულ უმაგალითო წარმატებებზე. ისინი 27 იანვარს ერთსულოვნად შეიკრიბნენ მიტინგზე, რომელზეც დიდი ბატრიოტული აღფრთოვანებით გამოვიდნენ სტახანოველი მუშები.

ორდენოსან ხიზანაშვილის ბრიგადის წევრმა ზეინკალმა ჯავახიშვილმა უმაღლესი მთავარსარდლის—ამხანაგ სტალინის ბრძანების პასუხად ბრიგადის სახელით ვალდებულება აიღო

იქისრეს ახალი ვალდებულებები

მუშაობის დამთავრების შემდეგ ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. აბრამოვი, შესდგა მუშამოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი სიხარულით მოისმინეს უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის 25 იანვრის ბრძანება და ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენმა ჯარებმა ძირითადად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები უდიდეს სიხარულს გამოთქვამდნენ წითელი არმიის მორგი გამარჯვებების გამო და ახალ-ახალ საწარმოო ვალდებულებებს კისრულობდნენ.

— უმაღლესი მთავარსარდლის — ამხანაგ სტალინის ბრძანების პასუხად,—განაცხადა ორდენოსანმა სტახანოველმა ამხ. ყველაშვილმა,—ვალდებულებას ვიღებ თებერვლის გეგმა 400 პროცენტით შევასრულო და ორ ახალ მუშას შევასწავლო სახარატო საქმე.

ერთსმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:—ჩვენი ქარხნის კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას ორი სახის სპეცდაკვეთის გეგმა თებერვალში შეასრულოს 102 და 105 პროცენტით, მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით მზარდი დახმარება გაუწიოს შემტევ წითელ არმიის ჩვენი წმიდათა წმიდა მიწა-წყლის ფაშისტი მტაცებლებისაგან განთავისუფლებაში.

ბ. ოქიაძე

ავაგოთ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები საბჭოთა საქართველო

თანხების შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს

წითელი არმიის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად მაიაკოვსკის რაიონის მუშამოსამსახურეებმა ჯერ კიდევ რადიოთი მოისმინეს უმაღლესი მთავარსარდლის—ამხანაგ სტალინის 25 იანვრის ბრძანება. მათ აგრეთვე რადიოთი მოისმინეს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა წითელი არმიის მიერ სტალინგრადის რაიონში მოპოვებულ უმაგალითო წარმატებებზე. ისინი 27 იანვარს ერთსულოვნად შეიკრიბნენ მიტინგზე, რომელზეც დიდი ბატრიოტული აღფრთოვანებით გამოვიდნენ სტახანოველი მუშები.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ქაპანაძე

ყველაფერი მფრინავებისათვის

სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად გეგეჭკორის რაიონის მშრომელებმა ავიაციისადრილიების ფონდში თავიანთი პირადი დანაზოგიდან შეიტანეს 1.500.000 მანეთი.

თანხების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის მდივანი დავითაია

ზეგნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. გუმბერიძემ — 12.000 მან., სოფ. მაიაკოვსკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ხიზალეიშვილმა, ებანოიძემ და ავალიანმა ხუთ-ხუთი ათასი მანეთი.

თანხების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ქაპანაძე

ყველაფერი მფრინავებისათვის

სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად ბაღდათის რაიონის ოლქის მშრომელებმა ავიაციისადრილიების ფონდში 1.500.000 მანეთი.

საქ. კ. პ. (ბ) ბაღდათის რაიკომის მდივანი ბაბალიანი

ყველაფერი მფრინავებისათვის

ბორჯომელებმა ავიაციისადრილიების ფონდში 1.500.000 მანეთი.

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის მდივანი ბერიძე

ყველაფერი მფრინავებისათვის

ბაღდათელ ოსტატებმა ავიაციისადრილიების ფონდში 1.500.000 მანეთი.

**საქ. კ. პ. (ბ) ბაღდათის რაიკომის მდივანი ბაბალიანი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 იანვრის დილის ცნობა

27 იანვრის ღამის განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარები ეწეოდნენ შეტევიოს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

• • •

დონის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის დაჭაქუსული ჯგუფების გაყლეტას. სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის ახლოს გერმანელები სუსტ ცეცხლითს წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ყოველ საათობით მატულობს ტყვედ დანებებულთა რაოდენობა. ტყვედ დაგვნებდნენ კიდევ ერთი გენერალი, 3 პოლკოვნიკი, 4 პოდპოლკოვნიკი და სხვა უფროსი ოფიცრები. სტალინგრადის ჩრდილოეთით საბჭოთა ნაწილები ავიწროებდნენ მოწინააღმდეგეს და ულეტდნენ მის ცოცხალ ძალას. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა, მათ შორის—46 ტანკი, 214 ქვემეხი, 583 ტყვიამფრქვევი, 5.890 ავტომანქანა, 1 ჯავშნიანი მატარებელი და 20 სხვადასხვა საწყობი.

• • •

სამხრეთის ფრონტის ჯარები შეტევას ეწეოდნენ, ხოლო ძალების ნაწილით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს. 5 ნაწილმა ფლანგებიდან შემოუარა გერმანელებს, უეცარი დარტყმით შეიჭრა დასახლებულ პუნქტში და დაიკავა იგი. ხელთ ვიგდეთ დავლა: 1 ჯავშნიანი მანქანა, 3 ქვემეხი, 14 ტყვიამფრქვევი, 8 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, ფურაჟის საწყობი და საჭურვლის საწყობი. სხვა უბანზე მოგერიებულია მოწინააღმდეგის ყინულტრიერიში. მოსპობილია 2 ტანკი და გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი.

• • •

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე საბჭოთა ტანკისტებმა, რომლებიც ქვეითს ჯართან ერთად მოქმედებენ, ორი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. დამარცხებულ იქნა გერმანელთა ბატალიონი. ხელთ ვიგდეთ ერთი თვითმავალი ქვემეხი. 5 ნაღმსატყორცნი, 30 კასრი ბენზინი, 34 საზიდარი სამხედრო ქონება, 1 რადიოსადგური და სხვა დავლა.

• • •

ვორონეჟის ფრონტის ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. მოწინააღმდეგე ცდილობდა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების წინსვლა ორი დასახლებული პუნქტის რაიონში. გაფთრებული ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა, რომელთაც დიდი ზარალი მოუვიდათ, უკან დაიხიეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დიდძალი დავლა. სხვა უბანზე 6 ნაწილმა ტყვედ წამოიყვანა მტრის 540 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 8 ქვემეხი, 22 ტყვიამფრქვევი, 57 ავტომანქანა და საომარი მასალების 1 საწყობი.

• • •

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები წინ მიიწევდნენ და შთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. 5 ნაწილის ტანკისტებმა გაანადგურეს მტრის თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი და მოსპეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ ხელთ იგდეს 3 ტანკი, 17 ქვემეხი და 25 ავტომანქანა. ჩვენმა ნაწილებმა ბელაია გლინის რაიონში ხელთ იგდეს 76 ავტომანქანა და 246 სარკინიგზო ვაგონი სხვადასხვა ტვირთით. ნოვო-ალექსანდროვსკაიას რაიონში გერმანელებს წავართვეთ 3 სარკინიგზო ეშელონი სამხედრო ქონებით, რომელშიც არის 300 ავტომანქანა, 230 მოტოციკლი, შაშხანის ორი ვაგონი ვაზნა, ერთი ვაგონი შაშხანა, ერთი ვაგონი ტყვიამფრქვევი, 2 ვაგონი ყუმბარა, 4 ვაგონი ავტომოტორები და 3 ვაგონი საინჟინრო ქონება.

• • •

ვოროშილოვის სახელობის რაზმის ორიონელ პარტიზანთა ჯგუფმა იანვრის შუა რიცხვებში ლიანდაგიდან გადაადგა მტრის ეშელონი. დამტვრეულია ორთქმავალი, 18 ვაგონი საომარ მასალებით და 6 ცისტერნი საწვავი. სხვა რაზმის პარტიზანები თავს დაესხნენ გერმანელთა გარნიზონს, რომელიც რაიონულ ცენტრში იმყოფებოდა. საბჭოთა პატრიოტებმა დახოცეს 200-მდე ჰიტლერელი, ხელთ იგდეს 9 ვარგისი ტყვიამფრქვევი, 64 შაშხანა, რამდენიმე ათასი ვაზნა და დიდძალი ტანისამოსი და საჭურველი.

• • •

როსტოვის ოლქის ხუტორ ნესტერკინის მცხოვრებლებმა შეადგინეს აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ შშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვის, ძალადობისა და ბოროტად ადგილების შესახებ. აქტში ნათქვამია: „გერმანელთა მოსვლამდე ჩვენ შეძლებულად და ბედნიერად ვცხოვრობდით. ბევრი პური და ბოსტნეული გვქონდა. ყოველი კოლმეურნე უზრუნველყოფილი იყო. ჰიტლერელებმა ყველაფერი წაგვართვეს. მათ საკოლმეურნეო მინდვრების მთელი მოსავალი წაიღეს. ყველაფერი, რაც ჩვენ საკარმიდამო ნაკვეთებზე დავთესეთ, ავრთვე გერმანიის არმიის საკუთრებად გამოაცხადეს. ჩვენ აკრძალული გვქონდა თუნდაც ერთი კიტრი მოგვეწყვიტა ჩვენს ბოსტანში. 4 თვის განმავლობაში ბანდიტებმა მოსახლეობას წაართვეს 300 ღორი, 20 ცხენი, 13 ხარი, ათასზე მეტი ფრინველი. ჯარისკაცები სახლებში შევარდებოდნენ და იტაცებდნენ ბორკა, ქონს, ერბო-კარაქს, რძეს, გვართმევდნენ ტანისამოსს, ფეხსაცმელსა და თეთრეულს. ჰიტლერელებმა გლეხებისათვის ფიზიკური სასჯელი შემოიღეს. თუ ვინმე კვერცს დროზე არ ჩაბარებდა, 15 მათრახს დაჭკრავდნენ; თუ კოლმეურნე თავის ქათამს დაჭკრავდა—25 მათრახს; თუ გოჭს რეგისტრაციაში არ გაატარებდა — 25 მათრახს. ფაშისტმა ჯალათებმა მოჭკლეს ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ფოლეკი. უკანდახევის წინ გერმანელებს ურდოდათ ყველა ქალაშვილი კატორღულ სამუშაოზე გაეგზავნათ გერმანიაში, მაგრამ მოვიდა წითელი არმია და გაგვათავისუფლა ფაშისტური მონობისაგან". აქტს ხელს აწერენ: მ. ვორობიოვა, ა. მარჩენკო, ფ. ანტიპოვი და ხუტორის სხვა კოლმეურნეები.

ხელოვნება საბჭოთა ომის დღეებში

„ოქროს მასალები"

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში თბილისის მუსკომედიის თეატრის სპექტაკლების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. 1942 წლის განმავლობაში თეატრმა 329 წარმოდგენა გამართა და 106.430 მაყურებელს მოემსახურა.

თეატრის კოლექტივი ემსახურება წითელ არმიის ნაწილებსა და ჰოსპიტლებს. 1943 წლის 1 იანვრამდე ჩვენ მოვაწყეთ 107 საშეფო კონცერტი და 5 წარმოდგენა.

თეატრმა რამდენიმე პრემიერა უჩვენა ომის დღეებში. სამამულო ომის თემაზე თეატრმა დადგა ლირიკული მუსიკალური კომედია „ბედაური" და ამჟამად მუშაობს სრულფარნიან ოპერეტაზე „ოქროს გასაღები", ანუ „უნგერტს ჰამა უნდა". ეს ოპერეტა, რომლის პიესა გ. კოლტუნოვსა და მ. ზისკინდს ეკუთვნის და რომლის მუსიკა გამოჩენილმა უკრაინელმა კომპოზიტორმა კ. დანკევიჩმა დასწერა თეატრის დაკვეთით, გვიჩვენებს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა მზეცობას უკრაინაში და უკრაინელი ხალხის თავდადებულ ბრძოლას ჰიტლერელ კაციჭამიათა წინააღმდეგ.

დ. ძნელაძე

თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.



ა. ვახაძე კაკვიძის როლში.

„პატარა კახი"

ჩემს ოპერას „პატარა კახს" ანუ „გელას" საფუძვლად უდევს აკაკი წერეთლის პატრიოტული დრამატული პოემა „პატარა კახი".

ამ ოპერაში მე მიზნად დავისახე მეჩვენებინა ის დიდი პატრიოტული აღფრთოვანება, სამშობლოს მხურვალე სიყვარული, რომელსაც მუდამ იჩენდა ჩვენი ხალხი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საფრთხე მოადგებოდა, როცა მტრის ურდოები დაესხმოდნენ ჩვენს ქვეყანას.

თუმცა პოემა აგებულია ისტორიულ მასალაზე, მაგრამ იგი დღესაც აქტუალურია, რადგან ეხმაურება საბჭოთა ხალხის უწმიდეს მისწრაფებებს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი სერიოზულ მუშაობას აწარმოებს ოპერის დასადგმელად. ვიმედოვნებ, რომ ახლო ხანში ჩემი ოპერა წარადგება მაყურებლის სამსჯავროს წინაშე.

კომპოზიტორი ვანო გოკიელი

ჩემი შემოქმედებითი მუშაობა

ჩემი შემოქმედებითი მუშაობა სამამულო ომის დღეებში ძირითადად რუსთაველის თეატრში მიმდინარეობს. წელიწადნახევარში ჩემმა რეჟისორობით დაიდგა „კიკვიძე", „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ", „ოლეკო დუნდიჩი", „სამშობლო" და „დავა", ხოლო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ი. ტუსკიას ოპერა „სამშობლო". ვითამაშე კიკვიძის, სვ. ლიონიძის, სარქის ბულდანიჩის როლები რუსთაველის თეატრში და შაჰაბასი კინოფილმში „ვოორგი საკაძე".

ამჟამად ვმუშაობ ი. ხელვინსკის ისტორიულ-პატრიოტულ პიესა „გენერალ ბრუსილოვის" დადგმაზე. ა. შანშიაშვილის პიესაში „ალწანისის გმირები", რომელსაც ჩვენი თეატრი ამ სეზონში დადგამს, მე ვითამაშებ ერეკლეს როლს. პარალელურად ვმუშაობ შექსპირის ტრაგედიის „მეფე ლირის" დადგმაზე.

საშეფო მუშაობის ხაზით მრავალჯერ მივიღე მონაწილეობა ჰოსპიტლებისა და წითელ არმიის ნაწილებისათვის მოწყობილ კონცერტებში; ვხელმძღვანელობდი სამხატვრო ბრიგადას, რომელიც მოემსახურა საქართველოში მყოფ ჯარის ნაწილებს.

ახლა, როცა ჩვენი გმირი წითელი არმია დიდი სტალინის მხედართმთავრობით გამანადგურებელ დარტყმებს აგებს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს, როცა ასეთი წარმატებით ანვითარებს ბრწყინვალედ დაწყებულ შეტევას, კიდევ უფრო მეტი აღფრთოვანებითა და გაათკეცებული ენერგიით განვაგრძობ მუშაობას.

აკაკი ვასაძე

სსრკ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

მხატვრული ბრიგადები ფრონტზე

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ამხ. ბ. გოგუას თავმჯდომარეობით შესდგა თითბერი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის თეატრებისა და სხვა სახელოვნო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს წარმომადგენლებმა. თათბირმა განიხილა წითელი არმიის XXV წლისთავთან დაკავშირებით წითელი არმიისა და ჰოსპიტლების სამხატვრო მომსახურების საკითხი.

თათბირის მიერ დასახულ ღონისძიებათა საფუძველზე ხელოვნების საქმეთა სამმართველო მოქმედი არმიის ნაწილების სამხატვრო მომსახურების მიზნით ფრონტზე ერთი თვით ჯგზავნის 10-მდე სამხატვრო ბრიგადას თბილისის წამყვანი მსახიობების მონაწილეობით. ბრიგადების უმეტესი ნაწილი კომპლექსურია და შესდგება ხელოვნების სხვადასხვა ეანრის წარმომადგენლებისაგან.

საქართველოს ფარგლებში წითელი არმიის ნაწილების და ჰოსპიტლების სამხატვრო მომსახურებისათვის ხელოვნების საქმეთა სამმართველო თებერვალში გამართავს 150 კონცერტს.

„ძმები"

წითელი არმიის XXV წლისთავისათვის დავასრულებ პოემას „ძმები". ამ პოემის თემად მე ავიღე საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული ბრძოლა სამამულო ომის ფრონტზე გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. ჩემი პოემის გმირები ექიმები არიან. ისინი საკუთარ სიცოცხლეს არ იშურებენ, რომ დაჭრილ მებრძოლებს ჯანმრთელობა აღუდგინონ. მაგრამ ექიმები მარტო მკურნალობით არ კმაყოფილდებიან. როცა საჭიროება მოითხოვს, ისინი იარაღით ხელში იცავენ საბჭოთა მიწას და საბრძოლო იარაღს ისევე მოხერხებულად ხმარობენ, როგორც ჭორფგიულ ხელსაწყოს.

პოემა, ჩემი ვარაუდით, 1.000 სტრიქონს შეიცავს.

რაშდენ ზვეტაძე

დიდი სამხატვრო გამოფენა

გმირი წითელი არმიის XXV წლისთავისათვის მხატვართა კავშირი ამზადებს ახალ გამოფენას, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი არმიის საბრძოლო ეპიზოდებს, ზურგის თავდადებულ შრომას და ფაშისტ ოკუპანტთა მზეცობას დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება დიდი ზომის პანოები, პლაკატები, სამამულო ომის გმირთა პორტრეტები. მთელი რიგი პანოები შესრულებული იქნება მხატვართა ბრიგადების მიერ კოლექტიურად.

ქ. ბიოლრბაძე

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

„გერმანელთა არმიის განადგურება სტალინგრადთან".

მხატვარ ქ. ფიოლრგაძის ნახატი.

ქიროს შვაბის განცხადება ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოებული მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 28 იანვარი (საკვლისი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, გენერალ ეიროს შტაბმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: „ეს-ეს არის შესდგა ჩრდილოეთ აფრიკაში მნიშვნელოვანი სამოკავშირეთაშორისო კონფერენცია. ამ შემთხვევის გამო გენერალი ეიზენ შეხვდა რუზველტსა და ჩერჩილს, აგრეთვე მოკავშირეთა არმიების ხელმძღვანელებს. მიღწეულია საფრანგეთისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგები. გაერთიანებულმა ერებმა საფრანგეთის სახით სენის მოკავშირე, რომელსაც არასოდეს არ შეუწყვეტია ბრძოლა, თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ განაგრძობდა მას და ემზადებოდა იმისათვის, რომ კვლავ ებრძოლნა თავის ტერიტორიაზე. ტუნისში საფრანგეთის მოქმედება იმას მოწმობს, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გათავისუფლოს თავისი ტერიტორია. სამხედრო დარგში მიღწეულია შეთანხმება ყველა საკითხში და მასთან საფრანგეთის აფრიკის ჯარების ყველაზე თანამედროვე საჭირო იარაღით პირველ რიგში მომარაგების საკითხშიც. ეკონომიურ და ფინანსიურ დარგში მიღწეულია შეთანხმება საფრანგეთში და მის ფარგლებს გარეთ ფრანგთა ინტერესების დაცვის შესახებ.

გარდა ამისა, ამ კონფერენციასთან დაკავშირებით გენერალი ეიზენ შეხვდა გენერალ დე გოლს. ამ პირადმა შეხვედრამ შესაძლებელი გახადა დაეწყოთ იმ პირობების განხილვა, რომლებშიც შეიძლება მოეწყოს საფრანგეთის ღონისძიებანი განმათავისუფლებელ ომში. ამ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაგრძელდება. გადაწყვეტილია ამიერიდან დამყარდეს მუდმივი კავშირი".

საალყო წესები მარსელში

ლონდონი, 27 იანვარი (საკვლისი). რეიტერის საგენტო იუწყება, რომ მარსელის ძველი ნავსადგურის რაიონიდან მოსახლეობის მასობრივი გასახლებისა და 40.000 კაცის საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსების სამაბი გახდა მღელვარება, რომელიც ქალაქის ამ ნაწილში მოხდა. ფრანგმა პატრიოტებმა დაიკავეს მთელი რიგი შენობები, სიდიანაც სროლა აუტეხეს გერმანელ ჯარისკაცებსა და ვიშის პოლიციას. მარსელში შემოღებულია საალყო წესები. პოლიციას ნაბრძანები აქვს ესროლოს ყველას, ვინც კი შეეცდება მიუახლოვდეს ძველ ნავსადგურს, შენობების ნაწილი დაკავებული აქვთ ადგილობრივ ლებმაც ბარიკადები მოაწყეს და პოლიციასა და გერმანელ ჯარისკაცებს უშენენ. გერმანიის ჯარები იძულებული ხდებიან ნამდვილი ალყა შემოარტყან ამ შენობებს. უკანასკნელი ცნობებით, მარსელის ძველ ნავსადგურში სასწრაფოდ იგზავნება ტანკები და არტილერია.

გუშინ მარსელში დაბომბეს 250 ფრანგი, აქედან 180 მამაკაცი და 70 ქალი.

იდენი რომის დაბომბვის შესაძლებლობის შესახებ

ლონდონი, 26 იანვარი (საკვლისი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, იდენს თემთა პალატაში შეეკითხნენ რომის დაბომბვის შესაძლებლობის შესახებ. პასუხად იდენმა დაამოწმა მის მიერ გასულ კვირის პალატაში გაკეთებული განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ინგლისელებს ისეთივე უფლება აქვთ დაბომბონ რომი, როგორიც იტალიელებს ჰქონდათ უფლება დაებომბათ ლონდონი, და რომ მთავრობა სრულიად უყოყმანოდ ჩაიდენს ამას, თუ ომის მსვლელობა ამგვარ მოქმედებას საჭიროსა და მიზანშეწონილს გახდის.

ინგლისელების რეიდი ნორვეგიის სანაპიროზე

ლონდონი, 27 იანვარი (საკვლისი). რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, რომ ამას წინათ მოეწყო რეიდი ნორვეგიის სანაპიროზე ლარვიკის რაიონში (ოსლო-ფიორდში). რეიდში მონაწილეობას იღებდნენ ფრიად მნიშვნელოვანი ძალები. ასეთი რეიდები დროგამოშვებით ეწყობა და ძვირფას ინფორმაციას იძლევა.

რეიდმა წარმატებით ჩაიარა.

დაპატიმრებანი უნგრეთის არმიაში

ლონდონი, 28 იანვარი (საკვლისი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ბუდაპეშტში დაპატიმრებულია უნგრეთის არმიის 100-ზე მეტი უმცროსი ოფიცერი და რამდენიმე უფროსი ოფიცერი. მათ ყველამ აშკარად განაცხადეს, რომ უნგრეთი გერმანიის მხარეზე ბრძოლით ზიანს აყენებს თავის ნაციონალურ ინტერესებს.

...ლაპარ ნიუტონის დაბადებიდან 300 წლისთავზე

31 იანვარს, დღის 1 საათზე, უნივერსიტეტის კლუბში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ... ნიუტონის დაბადების 300 წლისთავისადმი. ... ბა ... ბა ... ბა